№ 211
სამშაბათი, 3 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 211
სამშაბათი, 3 ოქტომბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 17 ოქტომბერს, საღამოს 7½ საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება განსახილველად საგნებისა:

1. მომავლის წლის სმეტა.
2. მოხსენება თეატრის შესახებ.
3. ამორჩევა გამგეობის ორის წევრისა და სამის კანდიდატისა და სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და ორის კანდიდატისა.

(3—რ—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ვ. ავალიშვილისა, ვ. აბაშიძისა, კ. ყიფიანისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

**ცხოვრების მეჯლისზე**

დრამა 4 მოქმედ. თარგ. კ. ნასიძისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ბეზირგანოვისა, და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „სამეფო ტახტისათვის» ანუ „იაკობელები“ დრ. 5 მოქ. ფ. კოპპესი.

ვლ. ალექსეევ-მესხიევი.

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის საათამდე. (166—1891— 3)

**ექიმი**
**ი. ს. ელიაშვილი**
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის“ პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.
(10—8).

**ვკისრულობ**
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოჰკვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ახალი ამბავი

—

*** ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება თავ. რაფ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულის შესახებ.

კრებას უნდა დაესწრნენ ქართ ჟურნალ-გაზეთებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელ და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართველ ქალებს განუზრახავთ დააარსონ ფონდი მომავალ იუბილარის თავ. რაფ. ერისათვის სახელობაზედ. ფონდის დანიშნულება იქნება—აღიზარდოს თითო ქართველი გლეხის ქალი ტფილისის პროფესიონალურს სასწავლებელში.

*** 1 ოქტომბერს მცხეთაში, მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი დღე იყო, დიდძალი ხალხი შეიკრიბა ჩვეულებრივად. საკვირველია, სწორედ ჩვენის რკინის გზის მმართველობის საქმე! არ იქმნა და არა, ვერ მოახერხა საჭირო წეს-რიგი შემოიღოს მცხეთობას მატარებელთა მიმოსვლისა: ყოველ წელიწადს რაიმე უწესოება არ იქნეს, არ შეიძლება: ან უდროო დროს ინიშნება მატარებელთა მიმოსვლა, ან ძალიან ცოტა მატარებელი დადის და სხვ.

წელსაც ვაგონებში მეტის-მეტი ვიწროობა იყო. მესამე კლასის შესახებ რაღა ითქმის, როდესაც მეორეში ხალხი იატაკზედ ისხდა და იდგა ყველგან, სადაც-კი შეიძლებოდა. ვაგონში განძრევაც-კი არ მოხერხდებოდა.

*** ტფილისში ორი ქართული სახალხო სამკითხველოა გამართული, მაგრამ ორსავე სამკითხველოში სრულიად არ მოიპოვება ქართული წიგნები. მეორეც ესა, ერთი იმ სამკითხველოთაგანი იმისთანა ადგილზედ (ავჭალის ქუჩაზედ) გადაიტანეს, საცა მკითხველი ძლიერ ნაკლები იქნება. ახლა რამდენსამე შეგნებულ პირთ განუზრახავთ კუკიაში ვარანცოვის ძეგლის ახლოს გამართონ ქართული სამკითხველო. სამკითხველოში გარდა ყველა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, იქნება რუსული წიგნები საუკეთესო მწერლებისა, რუსული ჟურნალები და ზოგიერთი სომხური ჟურნალ-გაზეთები.

*** ს. ეწერი, (ქუთაისის მაზრა): სიმინდი უამინდობამ წაგვიხდინა. ღვინო წინადაც არ მოდიოდა ჩვენში კარგად და წელს ხომ „ზედაშესაც“-კი ველარ მივიტანთ ეკკლესიაში.

ჩვენში ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელია. წელს მხოლოდ თორმეტი ვაკანსია იყო, მთხოვნელი-კი ორმოცს აღემატებოდა.

*** ფოთი: აქაური ახალგაზდობა, ნამეტნავად სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლენი სრულებით მოკლებულნი არიან დედა-ენის შესწავლას.

*** კავკავი: ჩვენში ერთი „მკითხავი» კაცი გამოჩნდა, რომელიც დაუზოგველად ატყუებს ხალხს. საკვირველი აქ ის არის, რომ ზოგიერთი სულიერი მამები ამ მარჩიელს ეხმარებიან. ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მიაქცია ამ საქმეს ყურადღება.

### კორესპონდენცია.

—

**სოფ. საგარეჯო.** გლეხმა კაცმა ხშირად იცის თქმა, რომ საქონელი შვილზედ საყვარელიაო. უსაქონლო გლეხი-კაცი თავისს ძალიან უბედურადა სთვლის და უხელ-ფეხო ადამიანს ადრის თავს თავს. ხშირად უტირნია გლეხს საქონლის სიკვდილის გამო; ბევრჯელ უსულადოთ მოუკლავს საქონელი, რომ დასაკლავად [illegible] გაუშეტნია: როგორც ჩემს შვი[illegible] ვერ გამოვჭრი ყელს, ისე მაგასაო, [illegible] ისევ უსულადო მოკვდესო. უკანასკნელი ქონება მიაქვს ხოლმე გლეხს ნალბანდ-ბეითალთან საქონლის მოსარჩენად. ამიტომ დიდი ბედნიერებაა იმ სოფლისათვის, საცა გამოცდილი და ნასწავლი ბეითალი მოიპოვება. ექიმებზედ თუ მეტი არა, ნაკლებად საჭირონი არ არიან ისინი სოფლისთვის. ჩვენ სოფელში სწორედ ამნაირი გამოცდილი და ნასწავლი ბეითალია. ამ ბეითალს ბ. კაბელიევს ცოდნის გარდა თავისი საქმე ძალიან უყვარს და კარგადაც ესმის თავისი მოვალეობა, მასთან უანგარო და მოუღალავი მუშაკია. ყოველ დღე 50—70 სულზედ ნაკლები საქონელი არა დგას საავადმყოფოს წინ. არჩენს საკვირველად, ასე რომ ამის მტრებს—ნალბანდებსაც-კი ამასთან მოჰყავთ თავიანთი საქონელი მოსარჩენად. საუბედუროდ ძალიან ცოტა ჯამაგირი აქვს ამ საჭირო კაცს. ჩვენ შევიტყეთ, რომ გლეხები ცდილობენ გაიწერონ ხარჯი ჯამაგირის მოსამატებლად. ს. საგარეჯოს ხუთი სოფელი სხვა უდგება. ამითი უნდათ ბ-ნი კობელიევი საგარეჯოშივე დაატრიალონ.

### ბახთალოს ძველი ეკკლესია.

ქ. ზაქათალიდგან 15 ვერსის სიშორეზედ ვაკე ალაგას ტყეში არის ერთი ძველი საყდარი, რომელსაც მცხოვრებნი უწოდებენ ბახთალოს ეკკლესიად. 16 სექტემბერს ჩვენ გავემგზავრეთ ამ ეკკლესიის სანახავად.

---

## ფელეტონი

—

### ტუსაღის სიზმარი.

მესიზმრა: რკინის ჩემს ფანჯარაზე
შემოჯდა უცხო თეთრი ფრინველი,
და ტყვეს შებოჭვილს გულ-წარმტაც ხმაზედ
დამიწყო ტკბილად გალობა ნელი.
განუსაზღვრელი სიხარულისა,
ჰანგებით მორთო იგი სიმღერა,
გროვა საამო იმედებისა
გულში დაჰბადა და ააძგერა—
მითხრა: „ზე აღზდეგ! ჰა, აღგისრულდა
შენი დიდის ხნის საწადელიო,—
აი, მოვიდა, მოგიახლოვდა
ბორკილთა შენთა დამმსხვრეველიო!
აწ ისარგებლე თავისუფლებით,
შეჰხარე ვარსკვლავს, მზეს და მთვარესო,
მამათ მაყრული საგმირო ხმებით
შვილმაც შესძახე ტურფა მხარესო“!..
სთქვა და შესწყვიტა ტკბილი გალობა,
გაფრინდა, ფრთები შეაფარფაშა!..
ნუგეშის თვალით, ვით ღვთის წყალობა
მზემ სხივნი მთაზედ შეათამაშა;
ლამაზმა დილამ მარანა ცისა
მადლად გვემულთა გარდმოუვლინა
და ნიშნად მტრისგან ჩემის დახსნისა
მზის სხივმან ჩემთან შემოირბინა...
გაალდა სული, გალომდა გული—
და დავიყვირე: ჰე, განგებავ-თქო,
თუმც რომ უმანკო მქონდა წარსული,
ნურც მომავალი მომაკლდება-თქო!..
გამომეღვიძა—ბნელი და ცივი
კვლავ საპყრობილე სულსა მიღრღნიდა,
მხოლოდ სარკმლიდამ ცელქი მზის სხივი,
ვით რომ სიზმარში, სალამს მიძღვნიდა.

გრ. თირელი.

### ცხოვრება და ხელოვნება.

V

ვარიპანიძიანთ ნინო. მოთხრობა არ. ლეისტისა, „მოამბე“ II, III, IV, 95 წ.

ბ-ნი ლეისტი დიდი მოყვარულია ქართული მწერლობისა და ერთ იმ უცხოელთაგანს ეკუთვნის, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს ლიტერატურას: გააცნეს და შეაყვარეს იგი უცხოელებს. მას ეკუთვნის რამოდენიმე წერილი ჩვენის ლიტერატურის შესახებ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილი, ჩვენი საუკეთესო პოეტების რამოდენიმე ლექსის თარგმანი, მანვე გადათარგმნა შოთას უკვდავი პოემა. ამით ბ-ნი ლეისტი არ დაკმაყოფილებულა, იგი ხშირად დადის ჩვენში, უკვირდება ჩვენს ცხოვრებას და ამ დაკვირვების შედეგია ზემოხსენებული მისი მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდგან.

ეს მოთხრობა მრავალ გზის შესანიშნავია: პირველად მით, რომ უცხოელის დაწერილია და ამიტომ გვამცნებს უცხოელი მწერლის აზრსა და შეხედულებას ჩვენს ცხოვრებაზედ; მეორე მით, რომ უცხოელ მწერალს აუღია თავისის მოთხრობის საგნად ისეთის წრის გამოხატვა, რომელსაც გვერდს უხვევს ჩვენი ლიტერატურა, მაგრამ რომელიც ბევრად უფრო საინტერესოა, ვინემ სხვა რომელიმე წრე; მესამე მით, რომ მოთხრობას „ახალი სული“ ემჩნევა და ესა სჩანს მისის მორალურის ტენდენციიდგან.

აშ მოთხრობაზედ ბევრს ჩვენს მწ რალს მივუთითებდით, თუ რომ, ცოტა არ იყოს, „რაღაც“ არ აკლდეს, ის „რაღაც“, რაც მწერლობის ნიჭის მაჩვენებელია, რაც ადვილი საგრძნობია ყველასათვის, მაგრამ ძნელად-კი გამოსახატველი. ავტორი განათლებული კაცია, მცოდნე ევროპიულის მწერლობის და ცხოვრებისა და ამიტომ ადვილად შეუძლიან დასწეროს მოთხრობა, ჩინებული მოთხრობაც, მაგრამ ის „რაღაც“, ის „ციური ნაპერწკალი“, რომელიც შეადგენს საუკეთესო რასმე სიტყვაკაზმულ მწერლობისა, არ მოიპოვება არც კითხვით და არც შრომით, ის ღვთისაგან მინიჭებული რამ არის. ეს ბ-ნ ლეისტს აკლია. ეს მოთხრობა მცოდნე კაცის დაწერილია და არა ნიჭიერი მწერლისა [1]).

ამით მე, რასაკვირველია, არ მინდა მივეკედლო იმათ აზრს, რომელნიც ჰგონებენ, რომ ნიჭი და შრომა შეუთანხმებელია, რომ მშრომელი მწერალი [illegible]აჭიერი არ არის და სხვა. ნიჭი თუ [illegible]ევარდმო მოვლინებულია, შრომა კაცის ნებაზედ არის დამოკიდებული, მისი სულის ძალის ნაყოფია. ყოველს განძს უნდა მოვლა-პატრონობა, რომ არ წახდეს, არ დალპეს და უსარგებლოდ არ ეგდოს. ხომ გახსოვთ ქრისტეს იგავი ტალანტების შესახებ? ის მწერალი, ის არტისტი ყოველთვის უფრო დაფასებულია, რომელსაც თავისი შრომით თავისი ნიჭი გაუზრდია, გაუუმჯობესებია, უსარგებლოდა და უნაყოფოდ არ დაუგდია ზეციერ მადლისაგან მინიჭებული ტალანტი. ის მწერალი-კი შემცოდეა საზოგადოების წინაშე, რომელიც თავისს ნიჭს უყურადღებოდ სტოვებს და ბოლოს სრულიად დააჩლუნგებს. ასეთი ნიჭის პატრონი ან ზიზღის ღირსია და ან სიბრალულისა, თუ მისგან დამოუკიდებელის გარემოების მიზეზით დაიღუპა ეს დიდებული განძი. მე მგონია ეს მომენტი ნიჭის განვითარებისა და მისი კარგს გზაზედ დაყენებისა იწვევს ჩვენში ალტაცებას მწერლისადმი, მადლობას და თანაგძნობას მისი შრომისადმი, თორემ მარტო ნიჭისათვის, რომელიც მისგან მოპოებული არ არის და რომლის შექმნაშიაც მას ერთი ბეწო წილიც არ უდევს, მადლობა ეთქმის მხოლოდ შემომქმედს ცისასა და ქვეყნისას.

[1]) მე არ ვეხები ბ-ნი ლეისტის კრიტიკოსისა და მთარგმნელის ნიჭს, როგორც მოგეხსენებათ, შემოქმედებითი ნიჭი სულ სხვა რამ არის.

ჩვენ ვიყავით სამნი: მე, ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. მიტარევსკი და ფოტოგრაფი. უკანასკნელი მოწვეული იყო საყდრის გეგმის გადასაღებად, რადგან ბ. მიტარევსკის ჰსურდა ამის სურათის გაგზავნა გრაფინა უვაროვისათვის. ჩვენ გადავიღეთ საყდრის სახე სამი მხრიდგან: ორი გარედგან და ერთი შიგნიდგან. ბახთალოს ეკკლესია კარგა მოზრდილია. ზაქათალის ოლქის ყველა ძველ ეკკლესიებზედ ბახთალოს საყდარი კარგად შენახულა. კედლები და გუმბათი მისი ისევ მთელია. არხიტექტურით იგი მოგვაგონებს ტფილისის სიონის ტაძარს; განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბახთალოს ეკკლესია სიონის ტაძარზედ პატარაა და შიგნით სვეტები სიონივით არა აქვს, არამედ სხვა ნაირად. საყდარი აშენებულია აგურით; მხოლოდ გუმბათს შუა ალაგას გარშემო თლილი ქვები აქვს ჩატანებული, რომლებზედაც ჯვრები ამოჭრილი. სიგრძე და სიგანე საყდრისა ორივ ერთია—თითქმის 20 არშინი. სიმაღლე ეკკლესიისა გუმბათითურთ უფრო დიდი სჩანს. გუმბათი დიდია, ასე რომ ლეკები მას კოშკს უწოდებენ. შიგნით საყდარი ცალიერია. არ ეტყობა არც ტრაპეზისა და არც კანკელის ნაშთი. მაგრამ კედლებს შუაში-კი პატარა ქვევრების მზგავსი ქილები აქვს ჩატანებული.

საკურთხევლის თაღზედ შენახულა მხატვრობა-ფრესკები. მაგრამ წმიდათა ხატები ლეკების ხანჯალს და დროთა-ვითარების ხელს დაუჩხაპნიათ. თითქმის ყველა წმიდანს თვალები ამოჩიჩქნილი აქვს მუსულმანთაგან, რადგან ყორანი სდევნის მხატვრობას და წმიდათა ხატთა თაყვანის-ცემას. მაინც საკურთხევლის კედელზედ განირჩევიან შემდეგი ხატები: მიძინება ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, იესო ქრისტესი სტრატიოტითურთ, სტრატიოტს ხელში შუბი უჭირავს; მეორე ალაგას სჩანს იესო ქრისტეს ხატი სრულის ტანით. მოსჩანს აგრეთვე ერთი მახარობელთაგანი. დანარჩენი ხატები ისე დაუფხაჭნიათ, რომ ძნელია მათი ცნობა. ხატებზედ წარწერებიც ეტყობა ქართული (ხუცური ასო-მთავრულ ასოებით და ბერძნული), მაგრამ მათი წაკითხვა ფრიად ძნელია, რადგან დარჩომილა მხოლოდ ორიოდე ასო წაშლილის სიტყვისა. იესო ქრისტეს ხატზედ ეტყობა წარწერა ქარაგმებით. ეს სლავურ წარწერას უფრო მიემზგავსება, ვიდრე ბერძნულს. საინტერესოა როდის წარუწერიათ იესო ქრისტეს სახელი შემოკლებულად სლავურ ასოებით ძველს ქართულს ტაძარში.

ბახთალოს საყდარი ისტორიის მოწმობით აუშენებია კახეთის მეფეს ლეონ მე-II-ს მე-XVI-ე საუკუნის დასაწყისში (1526 წ.). ამ მეფის დროს მეორედ აღიძრა მისვლა-მოსვლა კახეთსა და რუსეთს შორის 1558 წელს *), მაგრამ მაშინ რუსეთს არა ჰქონდა კახეთზედ გავლენა. შეიძლება სხვა დროს რუსეთიდგან რომ მხატვრები მოვიდნენ, იმათ შეაკეთეს მხატვრობა ამ ტაძარში და დასტოვეს სახსოვრად სლავური წარწერა. ბახთალოს საყდრის გაპერანება უნდა მიეწეროს სპარსეთის შაჰის აბასის დროს მე-XVII-ე საუკუნეში: მაშინ მოხდა საზოგადო აოხრება ზაქათალისა და სრულიად კახეთისა. მას აქეთ იგი ეკკლესია ობლად არის დარჩენილი. მის გარეშემო ალაგას ძველ გმირთა, ქართველ-ქრისტეანეთა მაგიერ მხოლოდ ტყე და მინდორია. შორს ლეკების (სოფელ თალის) და გამაჰმადიანებულ ქართველთა-ინგილოების ბინებიც არის. გამაჰმადიანებული ქართველი-ინგილოები ალიაბათის საზოგადოებისა მალვით თაყვანსა-სცემენ ბახთალოს საყდარს. მარიამობის მარხვაში და თვით მარიამობას იგინი მალვით მოდიან (უფრო მოხუცებული დედაკაცები) ბახთალოს საყდარში და აქ საკურთხევლის კედელზედ ანთებენ წმინდა სანთელს. სანთლის ნამწვავები შევნიშნეთ კედელზედ. ამ საუკუნის შუა წლებში შამილოზას ბახთალოს ეკკლესიასთან პოლკი იდგა რუსეთისა. მაშინ ამ საყდარში დროებით ტრაპეზი და კანკელი იყო გაკეთებული და განსვენებული სამხედრო მღვდელი სოლომონ გრიგორიევი სწირავდა შიგ.

*) პირველად კავშირი კახეთმა რუსეთთან დაიწყო მეფე ალექსანდრეს დროს 1492 წ.

ამ 30 წლის წინად ერთმა ალიაბათელმა ინგილომ ბახთალოს ეკკლესიასთან მიწის ხვნის დროს გუთანს ამოაყოლა ზარი, რომელსაც აწერია: ეს ზარი მე, კახეთის მეფემ ლეონმა შევსწირე ბახთალოს ღვთის მშობლის ეკკლესიასო. აქედგან სჩანს, თუ რომელ წმიდანის სახელზეა დადგმული ხსენებული ტაძარი. ნაპოვნი ზარი ტფილისს მუზეუმში ინახება მას აქეთ, რაც რუსეთის პოლკი ბახთალოდგან სხვა ალაგას გადავიდა; ძველ ეკკლესიას უფრო ცუდი ბედი ეწვია: ლეკნი—მწყემსები საყდარში საქონელსა ჰყრიან. ცნობილმა მღვდელმა დ. ჯანაშვილმა გვიამბო ლეკის გადმონაცემი ამბავი, რომ ერთ თალალელ ლეკს ბახთალოს საყდარში ამ რამდენიმე წლის წინად ძველი წიგნი უპოვია, რომელზედაც სურათი თუ ხატი ყოფილა. ეს წიგნი იმ ლეკს წაუღია ქ. ზაქათალას საჩვენებლად. სომხებს იგი ვერ წაუწითხავთ, მაგრამ ერთ იმათთაგანს გამოურთმევია და შეუნახავს. ეს წიგნი ჩვენის აზრით ძველი ხელთ-ნაწერი სახარება უნდა იყოს. თუ იგი აღმოჩნდა, საინტერესო იქმნება საეკკლესიო მეცნიერებისათვის.

ბოლოს ვიტყვით, რომ ფრიად სასარგებლო იქნება სამისსიონერო საქმისა და სახელმწიფო ინტერესისთვისაც ზაქათალაში ბახთალოს ეკკლესიასთან დასახლდნენ მართლ-მადიდებელნი ქრისტეანენი და განახლდეს ძველი მაგრამ თითქმის მთელი ტაძარი.

ზაქათალის მაზრის ახალი მისსიონერი

ტ. ივანეცკი.

27 სეტემბერს, 1895 წელს.

სოფ. კახი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

სორს ანდრეევს ნება დაერთო გამოსცეს ყაზანში სალიტერატურო ჟურნალი „დეიატელ“-ი.

—

„რუსკ. ვედომ.“-ის კორესპონდენტი სწერს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა სხვადა-სხვა პირთ ჰმართებთ 200 ათასი მანეთიო.

—

ამ თვეში პეტერბურგს მოხდება სატარიფო კრება რკინის გზების წარმომადგენელთა. სხვათა საგანთა შორის კრება განიხილავს წინადადებას იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას რკინის გზით წიგნების გაგზავნის ფასი.

—

ფინანსთა სამინისტრო ამ ჟამად ადგენს გამოკვლევას, თუ რა მდგომარეობაშია ახლა რუსეთში ქვა-ნახშირის მრეწველობა საზღვარ-გარეთის მრეწველობასთან შედარებით.

—

ამ თვის დამდეგს სამიწათ-მოქმედო სამინისტრო მოიწვევს კრებას, რომელმაც უნდა განიხილოს საყურადღებო პროექტი. პროექტით განზრახულია სამეურნეო ცოდნათა გავრცელება ხალხში—პოპულიარულის ლექციებისა, სოფლებში საუბრისა და წიგნების გავრცელების საშუალებით.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** 25 სექტემბერს დუბლინში პარნელისტებმა გამართეს დიდი მიტინგი ჯონ რედმონდის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ირლანდია თვითმმართველობას თხოულობს ისევ და არ დაკმაყოფილდება წვრილმანის რეფორმებით. თუ ევროპაში ომი ატყდაო, სთქვა, სხვათა შორის, რედმონდმა, ირლანდია რევოლიუციას მოახდენს მაშინვე თავისუფლების მოპოვებისათვისაო. მიტინგმა დაადგინა—მოსთხოვოს მთავრობას ჰომრულის შესახებ ზრუნვა და განთავისუფლება ირლანდიელ პოლიტიკურ დამნაშავეთა.

—

**იტალია.** იტალიის პარლამენტის უკიდურეს მემარცხენეთა წინამძღოლი ცნობილი კავალოტი აცხადებს, რომ ისევ იწყებს კრისპის წინააღმდეგ ბრძოლას. საბრძოლველ საგნად კრისპი ახლა იღებს სიცილიისა და სარდინიის უნუგეშო მდგომარეობას. კავალოტი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც კრისპი მთავარ-მინისტრად დაინიშნა, ამ ორ კუნძულთა მდგომარეობა უფრო ცუდად არის, ვიდრე წინად, მიუხედავად იმისა, რომ კრისპი სწორედ იმისთვის დაინიშნა პრეზიდენტ-მინისტრად, რომ ამ უბედურ კუნძულთათვის ეზრუნა!.. პარლამენტის მომავალ სხდომებზედ ამ საგნის გამო დიდს შეტაკებას მოელიან.

—

**ოსმალეთი.** ინგლისურ გაზეთების სიტყვით, კოსტანტინოპოლის საპატიმროებში დატუსაღებულია ახლა 1200-მდე სომეხი.

—

**იაპონია.** იაპონიაში კიდევ არ დამშვიდებულა საზოგადოება და ისევ დრტვინავს მთავრობის წინააღმდეგ ლიატონგის ნახევარ კუნძულის დათმობისა გამო. ერთი პოლიტიკური პარტია თხოულობს ფლოტისა და ჯარების გაძლიერებას და აცხადებს, რომ, თუ მთავრობამ მართლა მიატოვა ხსენებული ნახევარ-კუნძული ევროპის სამთა სახელმწიფოთა ბრძანების თანახმად, იაპონიაში მაშინ დიდი არეულობა მოხდებაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

იმ ულტიმატუმს, რომელიც ინგლისმა ჩინეთს წარუგზავნა და რომელმაც უკვე გასჭრა, ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება. „St. James Garette“-ი ამბობს:

ჩინეთის მხრივ ჩვენის ულტიმატუმის

---

თქვენ ხედავთ ლამაზ კაცს, მისი სილამაზე თქვენს ესტეტიურს გრძნობას აკმაყოფილებს, მაგრამ ამ სილამაზისათვის თქვენ ამ კაცს არ ადიდებთ, მიტომ რომ ეს მისი მოპოებული არაა, მას ამის შექმნაში თავისი ადამიანობა, ინდივიდუალური ძალ-ღონე არ გამოუჩენია. თქვენ გესმით, რომ ამადა-ამ კაცს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრა საძაგლად მღერის, გაგება არა აქვს არავითარის სიმღერის წეს-რიგისა, მისი ხმა არა-თუ არ გიტაცებთ, განაღვლიანებთ კიდევაცა და საყვედურით უყურებთ მას, რატომ არ შეუმუშავებია ხმაო. როდესაც ჩვენ გამოჩენილ მომღერალს ანუ მსახიობს ტაშს ვუკრავთ და ვაშა, ვაშათი ვეგებებით, ამით ჩვენ მადლს ვუხდით, რომ მან ღვთისაგან მინიჭებული ტალანტი კარგად მოიხმარა.

ამიტომ შემცდარია ის აზრი, რომ მშრომელი მწერალი ნიჭიერი არ არის. წინააღმდეგ, დიდი ნიჭი და დიდი შრომა ხშირად განუყრელნი არიან და თუ ეს არ არის, მაინც მიუცილებელია იგინი განუყრელნი იყვნენ უამისოდ შეუძლებელია რაიმე დიდებულის და გამოჩინებულის შექმნა.

შრომა დიდი რამ არის და ისეთი დიდი, რომ ხანდისხან უფრო ნაკლები ნიჭის პატრონი, მაგრამ დიდი შრომის უნარის მქონე (ესეც ხომ თავისებური ნიჭია) წააცილებს ხოლმე უფრო ნიჭიერს და ხშირად უნიჭოც კი თავისი შრომით იმდენს იზამს, რომ ნიჭიერსა, მაგრამ ზარმაცს შეედრება.

ბ. ლეისტი შეიძლება ბევრს ჩვენს ახალ-გაზდა მწერალზედ დაბლა იდგეს შემოქმედებითის ნიჭით, მაგრამ ცოდნის მოყვარეობასა და შრომას მისთვის ისეთი ძალი მიუცია, რომ მისი მოთხრობა ბევრს ეხლანდელ ჩვენი მწერლებისაგან გამომცხვარ მოთხრობებს მოიტოვებს უკან.

ამ მოთხრობაში ბ. ლეისტი ისეთს წრეს შეეხო ჩვენის საზოგადოებისას, რომელიც თითქმის ხელ-უხლები დარჩა ჩვენს ლიტერატურაში. ამ წრის წევრები რთულ პირადოვნების წარმოადგენენ და ამიტომ მეტის-მეტი საინტერესოა მკითხველთათვის, როგორც ყოველივე ძნელისა და რთულის ნათლად გამომხატველი რამ, ხოლო მწერლისათვის-კი იმავე მიზეზით ძლიერ ძნელია მკაფიოდ მათი დახასიათება. ავტორი შეეხო აქ ჩვენ ინტელიგენტთა წრეს, ან და თუ ინტელიგენტს უფრო სხვა იდეალურს მნიშვნელობას აძლევთ, მაშინ განათლებულს, ახალი ცხოვრების შვილებს. მხოლოდ მარტო ამაზედ არ შეჩერებულა მწერალი, მას კიდევ უფრო მეტად მომხიბლველი აზრი მოსვლია; ძველი ცხოვრების წარმომადგენელი მამების გამოხატვა, მამების შვილებთან შედარება, რომ ამათი დაპირდაპირებით ორთავე ჯგუფის პირების ხასიათები უფრო ნათლად გამოგვიხატოს. მაგრამ სწორედ იხედება ავტორის შემოქმედებითი ნიჭის სისუსტე.

შეადარეთ მოთხრობის უმთავრესნი მომქმედნი პირნი. ესენი ორ ჯგუფად იყოფიან, პირველს ეკუთვნიან ნამდვილნი ძველნი ქართველნი, რომელთაც ახალი ცხოვრების დაღი არა აჩნიათ-რა; (მოხუცი ვარიპანიძე, ნინოს ბებია და სხ.) მეორეს-კი შეადგენენ ევროპის ცივილიზაციის გავლენის ქვეშ აღზრდილნი ახალგაზდანი: ლევანჩიგანი, ვანო გარელი ლეონიძე, ნინო, რუსუდან და სხვა. პირველნი ორგინალურ ქართულ ტიპებს წარმოადგენენ, მეორენი-კი უფრო კოსმოპოლიტურ წრეს ეკუთვნიან, რომელიც ახალი დროის და ეხლანდელი ცივილიზაციის ნაყოფი არის. ამათ, რასაკვირველია, შერჩენიათ ქართული თვისებაები, ასე ადრე ვერ განთავისუფლებულან და თავის დღეშიაც ვერ განთავისუფლდებიან განსაკუთრებულის, მარტო ქართველების კუთვნილ ხასიათებისაგან, რაც ყოველ ერსა აქვს და რასაც ეწოდება სული ნაციისა.

ყოველი მწერალი უნდა ეცადოს ნაციონალური თვისებაც კარგად გამოსახოს და ის, რაც ერთი ერის წარმომადგენელსა აქვს საერთო მზგავსი სხვებთან, სხვა ერის წევრებთან. მწერალი მით უფრო დიდებულია და მით უფრო დიდი ხნის განმავლობაში და დიდს მანძილზედ არის ცნობილი მისი ნაწერი, რამდენათაც საზოგადო ადამიანის ხასიათსა და თვისებასა ხატავს, იმ პირობით-კი რომ ამ გვარ საზოგადო ტიპს ნაციონალური ფერი ედვას. შექსპირი მით არის სამაგალითო, რომ ამ ხელოვნების იდეალს ასრულებდა. მისი გმირები ერთი ნაციის წარმომადგენელი-კი არა, მთელის კაცობრიობის თვისებათა გამომსახველნი არიან და თანაც ყოველ მათგანს ზედვე ამჩნევია ბეჭედი ამა თუ იმ ნაციისა (ოტელო, ჰამლეტი და სხვ.). რატომ სდებენ წუნს რასინის მშვენიერს ტრაგედიებს, რატომ უწოდებენ მას ცრუ კლასიკური მიმართულების მწერლად? სწორედ მიტომ, რომ მან კარგად ვერ დაიცვა ნაციონალური სამოსი მისგან გამოყვანილი მომქმედი პირებისა,—ახილესსა და აღამემნონს, ამ უძველესი საბერძნეთის გმირებს, ის ლუი XIV-ის სასახლის კაცების მანერებს აძლევს და მათ ენაზედ ალაპარაკებს, ბერძნულს წესსა და ზნე-ჩვეულებებს და ლუი XIV-ის დროისას ერთმანეთში ურევს.

ბ. ლეისტი სწორედ ამაში კოჭლობს. (ასე ემართება თითქმის ყოველ მწერალს, რომელიც უცხო ხალხის ცხოვრების აღწერას მიჰყოფს ხელს) ის საკმაოდ კარგად ასურათებს გაევროპიელებულ ქართველს და მასში სწორედ იმას, რაც ქართველებს აქვს ახლად შეძენილი. მათი მემკვიდრეობითი გადმოცემული ხასიათები და მისწრაფებანი-კი ბნელაში რჩება. დახასიათება-კი ძველი ქართველებისა, რომელთაც ახალი, quasi—ცივილიზაციის „ხელი მსახვრალი“ არ მოხვედრია, ჩვენს ავტორს არ ეხერხება, უფრო დაბინდულად გვაჩვენებს. მაგრამ მაინც არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ მარტო ის სურვილიც, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღება შორეულ აღმოსავლეთში ჩვენის გავლენის კვლავ აღდგენას ნიშნავს, რომელიც ხმელეთის სამთა სახელმწიფოთა საერთო მოქმედებამ დაარღვია. ამავე დროს ის გარემოება, რომ ჩინეთის მთავრობაზე ბევრი რამ დაგვითმო, ცხადად ამტკიცებს, თუ რა ძალა აქვს, ან რის მიღწევა შემუძლიან ძლიერს ფლოტს. ხმელეთის ძალით ესევე გამარჯვება უფრო გვიანი და გაძნელებული იქნებოდა. იმისათვის რომ რუსეთს თავისი სურვილი აესრულებინებინა, დასჭირდებოდა 50—100 ათასი კაცის შეიარაღება, ხოლო ასეთს ოპერაციას, რასაკვირველია, მცირე დრო არ მოუნდებოდა. იმ დრომდის, ვიდრე ინგლისის ფლოტი თავისს დღევანდელს ძლიერებას არ დაჰკარგავს, სამხრეთსა და აღმოსავლეთ აზიაში უპირატესობა მუდამ ინგლისის მხარეს იქნებაო.

—

„დაილი ხრონიკლ“-ის ვენელი კორესპონდენტი იუწყება:

ოსმალეთის მთავრობამ, შეიტყო-რა სომხები დემონსტრაციის მოხდენას აპირებენო, დროებით სრულიად გადააყენა სამხედრო დარაჯები, რომელნიც მოვალენი არიან თოფი იხმარონ, თუ-კი თავს ვინმე დაესხმება. სამხედრო „დარაჯები“ მთავრობამ პოლიციით შესცვალა და დაავალა, რაც შეიძლება ზომიერად და სათნოდ მოჰპყრობოდნენ აღელვებულთ და იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ეხმარათ. მაგრამ ამ განკარგულებამ სარგებლობის მაგივრად ზარალი მოტანა, რადგანაც დემონსტრაციის მომხდენთ ეგონათ პოლიცია არას გულისათვის არ იხმარს იარაღსაო და ძალაზედ დადგნენ ამიტომაო.

—

კონსტანტინოპოლში მომხდარ არეულობის შესახებ „ჟურნალი დე დება“ ამბობს:

როდესაც საქმე მცირე აზიაში „სომეხთა ამოწყვეტას“ შეეხებოდა, ევროპის ჟურნალ-გაზეთები, რაც უნდოდათ, იმასა სწერდნენ ქურთების შესახებ, რადგანაც ნამდვილი არავინ იცოდა-რაო,

„მაგრამ დღეს ამბოხება სომხეთის მივარდნილს მთებში არ მომხდარა, — იგი მოხდა კონსტანტინოპოლში, და ამიტომ მასზედ ადვილი არა არის-რა, ნამდვილად და დაწვრილებით შევიტყოთ ნამდვილი გარემოება საქმისა. თურმე ეს ამბავი სრულიად არა ჰგავს იმას, რასაც ამბობდნენ: ამ ჟამად თვით სომხები დასხმიან თავს შეიარაღებულნი…

შემდეგ გაზეთს „სტანდარდის“ აზრი მოჰყავს, რომელიც ამტკიცებს, რომ კონსტანტინოპოლში უწესოების მომხდენნი სომხები იყვნენო.

ამის გამო გაზეთი „მოსკოვ. ვედ“-ი ამბობს:

რადგანაც „ჟურნალ დე დება“ საფრანგეთის სახელმწიფო წრეებთან უფრო დაახლოვებულია, ამიტომ ეს მისი აზრი დიდად შესანიშნავია; ეჭვი არ არის საფრანგეთში ყველა ერთნაირად არ არის თანახმა იმისი, რომ ოსმალეთს ძალა დაატანონ და სომხების მოთხოვნილებანი შეასრულებინონ. ადვილი შესაძლებელია დღეის შემდეგ თვით დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ სომეხთა საქმის შესახებ სულ სხვა მიმართულება მიიღოსო…

„ინდეპანდანს ბელჟ“ ი ამ უწესოების შესახებ შემდეგსა სწერს:

„რომელ ქვეყანაშიაც უნდა მომხდარიყო ასეთი მოძრაობა, იგი უთუოდ მალე იქნებოდა გაქრობილი. ამ ჟამად-კი თვით სომეხთა მომხრენი და მფარველნიც-კი, სახელდობრ ინგლისის ჟურნალ-გაზეთები, სომხებსავე ამტყუნებენ“.

—

„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტისათვის უთქვამს ერთს ვილაცას, ტფილისიდგან დაბრუნებულს, რომ საქართველოში სომხებმა ყველაფერი ხელში ჩაიგდეს, ნამეტურ ტფილისში გაბატონდენო: ვაჭრობა, სახლები, ადგილ-მამული, ვენახი, ყოველი ესე ხელიდგან გამოაცალეს ლერმონტოვის დროიდან „მძინარს“ ქართველებსა და აგრეთვე რუსებიც სომხებისაგან დიდად დაჩაგრულნი არიან. ყველა ამას რომ ჰხედავს კაცი, უნებურად იკითხავს: რაღა ახალი სამეფო სჭირიათ კიდევ სომხებსაო?

ვაი ჩვენი ბრალი — რა მდგომარეობას მოვესწარით და ვის შესაბრალებლად შევიქენით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ ცნობილ მევახშეს ხრისტოვსკის ყოველივე უფლება ახადა და არხანგელის გუბერნიაში გადაასახლა. ეს პირველი საქმე იყო მევახშეობისა ახალის კანონით გასამართლებული. ორის წლის წინად ხრისტოვსკი მევახშეობისათვის გუბერნიიდამ იყო გაძევებული.

**გერმანია.** თავადი ლობანოვ როსტოვსკი მოვიდა აქ 30 სექტემბერს საღამოთი. ოფიციალური გაზეთები იუწყებიან, რომ თავ. ლობანოვ-როსტოვსკის გერმანიის იმპერატორი მიიღებს პირველ ოქტომბერსაო.

**რომი.** დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე თავისის მეუღლით გენუაში მოვიდნენ. პირველს ოქტომბერს რომში გაემგზავრებიან.

**სტამბოლი.** უკანასკნელ ამბოხების შემდეგ ტრაპიზონში 200 სომეხი მოუკლავთ. უცხოელი მცხოვრებლები ხიფათის ასაცდენად ციხეში გაიხიზნენ. ტრაპიზონში მოვიდა რუსეთის გემი. ამ გემს დაკალებული აქვს აქ მყოფ რუსეთის ქვეშევრდომთა დაცვა.

2 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ 1 ოქტომბერს საზღვარ-გარეთიდგან ცარსკოე სელოში ჩამოვიდნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთა და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძეო.

**ქურსკი.** აქ დიდის ამბით იქმნა გახსნილი სახელოსნო-სამეურნეო ახალშენი მცირე წლოვანთათვის.

**ბაქო.** ცეცხლი, რომელიც კასპიის საზოგადოების ნავთის წყაროს გაუჩნდა და აგერ ორი კვირა იყო იწვოდა, ბოლოს როგორც იყო ჩააქრო ერთმა სამთო ინჟინერმა თავისისავე გამოგონილ სისტემით.

**ბერლინი.** 1 ოქტომბერს საღამოთი საიმპერიო კანცლერი და თავადი ლობანოვ-როსტოვსკი გუბერტუსშტოკიდგან ბერლინში დაბრუნდნენ. შემდეგ კანცლერმა თავადის ლობანოვ-როსტოვსკის პატივ-საცემლად სადილი გამართა, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ აგრეთვე რუსეთის ელჩი, საელჩოს წევრნი, უფროსი მდივანი ბეტტიხერი, იტალიის ელჩი და სხვანი.

ბერლინში დაბრუნდა იმპერატორი ვილჰელმი.

**კონსტანტინოპოლი.** აზიის ოსმალეთში, ისმაილის არე-მარეში უწესოება მოხდა, რომლის დროსაც მოკლული და დაჭრილი იქმნა რამდენიმე კაცი.

**რომი.** პორტუგალიის მეფის იტალიაში წასვლა სრულიად გადიდვა, რადგანაც ერთსა და იმავ დროს პაპისა და მეფე ჰუმბერტოს ნახვა ცოტა დამაბრკოლებელი იქნებოდა.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროშკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.
(857—1468)

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

**სახელმძღვანელო**

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго

**СЛОВАРЯ**

ბაგაევისა.

300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

**მარგალიტა გოტიე**

ალექსანდრე დიუმა-შვილისა.

ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.

350 გვერ., ფასი 40 კაპ.

(10—7).

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

**ლექსები და წერილები.**

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

**მამის ერთგული.**

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

**მტრედი.**

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

მან მოინდომა ამ ორი თაობის „მამისა და შვილების» დასურათება, მათი შედარება. იქნებ ღმერთმა ქნას და ამ უცხოელმა ჩვენს მწერლებს სურვილი აუშალოს ამგვარ ტემაზედ წერისა.

კარგად გაუგია, მე მგონია, ბ. ლეისტს ერთი განსხვავება ამ ორის თაობის შორის. ერთი (ძველი) მტკიცე ხასიათის მქონია, ტრადიციონალური ზნე-ჩვეულების მონა და მორჩილი, ზნეობის კანონების სასტიკად დამცველნი. მათ ღმერთისა ეშინიათ, თავიანთი ბინძური გრძნობების ალაგმვას ცდილობენ, რადგან მშვენიერად აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა, და ახალ-მოდის ლოგიკური კლიმანჭურებისა არა ესმით რა.

მეორე ახალ-თაობის წარმომადგენელი არის. ესენი ვითომ-და განათლებულნი ბრძანდებიან. მათი ბატონი მხოლოდ მათი გრძნობა არის, მხოლოდ მას ემორჩილებიან იგინი. მათი ღმერთი თავისი სიამოვნება არის და ეს სიამოვნება რა ფასითაც უნდა იყოს მოპოებული, არ დაეძებენ. ერთი თხოვდება და ერთხელაც არ ეკითხება თავს, თუ რა მოვალეობა დააწვება თავზედ ახალ ცხოვრებაში შესვლის დროს (ნინო), მეორე მამას უმეგობრდება, მიტომ რომ ქალიშვილი მოუტყუოს, ქმარს ცოლი წაართვას და ამის გასამართლებლად ის გრძნობაც-კი არა აქვთ, რომელსაც სიყვარული ეწოდება და რომელიც კაცს თავისს-თავზედ უფრო ძლიერად მიაჩნია (პოეტი ვანო გარელი). აქ უბრალო ჟინია, ამ ბინძური მოქმედების თავი მიზეზი, ჟინი ლამაზი ქალის დანახვით გამოწვეული. ქალიც ხომ ღალატობს თავის ქმარს და ეს თამაშობად მიაჩნია, კაპრიზის დასაკმაყოფილებლად და მოდის მოთხოვნილების შესასრულებლად. განა სირცხვილი არ იქმნება ინსტიტუტ გათავებულმა განათლებულმა ქალმა თავისს დიდედას წახედოს და იმასავით მოიქცეს. მაგალითად აკი ჰყავს თავისი მეგობარი რუსუდანი, რომელსაც გათხოვებისათანავე საყვარლები აუდევნებია. თუ-გინდ სრულიადაც არ უყვარდეს ვინმე, საყვარელი მაინც უნდა ჰყავდეს.. მოდა გახლავს, უხასიათობაა და უგვანობა — ამგვარი მოქმედება და არა ის ღვთიური წმიდა გრძნობა, რომელსაც ეწოდება სიყვარული. განა წარმოსადგენელია ასეთი წმიდა გრძნობის მქონემ სიბინძურე ჩაიდინოს? სიყვარული იდეალური, ის სიყვარული, რომელსაც პოეტები უგალობენ, ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც გენიოსობა. სიყვარული ტარიელისა, სიყვარული ყაზბეგის მოთხრობების გმირებისა ცით მომადლებული ნიჭია, განძია, რომელსაც მომაკვდავნი ვერ მიხვდებიან.

განა თუ არ შეიძლებოდა ნინოს ვინმე შეჰყვარებოდა გათხოვების შემდეგ? რატომაც არა და აქ არც არაფერი დანაშაულობა არ იქმნებოდა. ქალი ის იყო ინსტიტუტიდგან გამოვიდა, ცოტა ხანიც არ დასცლია გამორკვეულიყო, ცხოვრებისთვის შეეხედა, მაშინვე გაათხოვეს. რასაკვირველია, ყოველ ყმაწვილ ქალს და კაცს მოსწონთ ერთმანეთი და ჰგონიათ უყვართ ერთმანეთი. გადის ხანი და გრძნობენ, რომ ეს ის სიყვარული არ ყოფილა, რომელიც ისე სწადიან სულსა და გულს და რომელიც კაცის მიუცილებელს მოთხოვნილებას შეადგენს. მაშინ შეხვდებათ ვინმე და შეუყვარდებათ თავდავიწყებამდის ნამდვილის გრძნობით გატაცებულთ. მართალია, ასე სიყვარული ხანდისხან მსხვერპლს მოითხოვს ხოლმე, მაგრამ მაინც რაკი თავისი გრძნობის დამორჩილება და ჩაჩუმება შეუძლებელი ხდება, იმას-კი აღარ უნდა ეცადოს კაცი, რომ თვალთათვის ყოველისფერი კარგად მოჩარხოს, არამედ პატიოსნურად უნდა მოიქცეს. ნინოც ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც სინიდისიერს ადამიანს შეჰფერის: ქმარის სახლის ჭერს გაშორებოდა, ეთქვა, რომ საუბედუროდ სხვა შეუყვარდა და მისი სახელისთვის-კი ჩირქი არ უნდა მოეცხო. შეხედეთ ანნა კარენინას, როგორ იქცევა? იგი არავითარის დოკტრინით წინადვე შეთხზულის პატიოსნების პრინციპების გეგმით არ ხელმძღვანელობს, თვით გრძნობაც სიყვარულისა არ ანებებს მისი ქმრის სარეცელი გაიყოს. მას ეზიზღება ეს კაცი და ყოველივე, რასაც იმის სახელი ჰქვიან. აი მართლაც ნამდვილი სიყვარული, თორემ იქ, სადაც ერთ გულში სიყვარულიც თავსდება და სურვილიც ყოველიფერის ხერხიანად მოგვარებისა, სიყვარული-კი არა, სიბინძურე მეფობს. ამ ტემას — ცოლისაგან ქმრის ღალატი, — რომელიც ბ. ლეისტს თავისი მოთხრობის შინაარსად აუღია, ხშირად შეხვდებით ეხლანდელს რომანებში და ახალსა და ორიგინალურს არას შეადგენს [1]). არ არის ორიგინალური არც ის თეორია „სიბრალულისა და შენდობისა“, რომელიც ავტორს გაჰყავს თავისს მოთხრობაში. ეს ახალ მოდის თეორია გახლავთ და მით უფრო საინტერესო, რომ ჩვენი ავტორი მისი მოსარჩლე ხდება. თუ არა ვცდები, ბ. ლეისტი ერთს თავისს წერილში, რომელიც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, ძალიანა ჰკიცხავდა ბურჟეს წანანდელი გზის მიტოვებისათვის და ასეთი თეორიების მიმდევრობისათვის მისტიკს უწოდებდა. ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ თვით იგი ამ მისტიკების თეორიას აჰყოლია.

(დასასრული შემდეგ ნომერში იქნება).

კოტა.

—

[1]) სხვა რომ აღარ მოვიხსენიოთ, აიღეთ უკანასკნელი მშვენიერი რომანი პოლ მარგერიტისა „La tourmente“ (გადათარგმნილია Рус. Мысл.-ის 1894 № 1, 2, 3, 4,), დოდეს „La petite paroisse“ (გადათარგმნილია იქვე 1895 წლის პირველ ნომრებში).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა. . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . . | › | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 05 |


# ბ ა ლ ა ნ ს ი

მიხეილის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში

1895 წლის 1 ივლისისათვის.

## ა ქ ტ ი ვ ი.

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასაში ნაღდი ფულია . . . | — | — | 21,447 | 27 |
| მიმდინარე ანგარიშთა რაოდენობა: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში . . | 1,270 | 38 | | |
| ბ) ტფილისის საკომერციო ბანკში | 348 | 94 | | |
| გ) ქუთისის საერთაშორისო კრედიტის საზოგადოებაში . - | 26,639 | 15 | | |
| დ) კორესპონდენტებთან . . | 195,391 | 30 | 223,649 | 77 |
| საწევრო შესატანი ქუთაისის საერთ. კრედიტის საზოგადოებაში . . | — | — | 30 | „ |
| სახელმწიფო %% ქაღალდები შენახულნი სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში: | | | | |
| ა) გირავ. ფურც. გამოცემის უზრუნველ-საყოფელად (§ 50 წესდებ. . . . (220,000) | 203,682 | 57 | | |
| ბ) გირ. ფურც. და კუპონების გამოსასყიდად . . (50,000) | 46,924 | 89 | | |
| გ) სათავდარიგო თანხისა (90,600) | 86,150 | 78 | 336,758 | 24 |
| დანარჩენი ფასიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) ბანკის ქაღალდები. (53,300) | 52,351 | 62 | | |
| ბ) სათავდარიგო თანხისა (4,800) | 4,707 | 10 | 57,058 | 72 |
| %% სახელმწიფო % ქაღალდების 1895 წლის 1 ივლისისათვის . | — | — | 3,216 | 31 |
| მისაცემად დანიშნული ფული. . | — | — | 53,800 | „ |
| ფული: ა) მიწის გირავნობაში მისაცემი . . . . . | 1.595,042 | 54 | | |
| ბ) ქალაქის მამულებისა . . | 1.206,305 | 88 | | |
| აღებულის სესხის ნაღდის ფულით გარდახდა . . . . | 65,951 | 58 | 2.866,300 | „ |
| გ) მოკლე ვადიანი . . . | — | — | 176,176 | „ |
| გარდასახადი მსესხებლებზედ: | | | | |
| ა) შეღავათიანი . { ხანგრძლივი სესხით. | 138,396 | 24 | | |
| { მოკლე ვადით. . | 7,742 | 83 | | |
| ბ) ვადას გადაცილებული { ხანგრძლ. სესხით. | 78,613 | 10 | | |
| { მოკლე ვადიანი . | 5,258 | 79 | | |
| გ) ჯარიმა . . . . . | 6,327 | 62 | 236,338 | 63 |
| ვადამდის გარდახდა სესხისა გირავნობის ფურცლებით . . . | — | — | 500 | „ |
| ვადამდის გარდახდილი ფული კუპონებით . , . . | — | — | 3,741 | 50 |
| ვადამდის გარდახდილი ფული ტირაჟში გამოსულ გირავნობ. ფურცლებით . . . . . | — | — | 23,400 | „ |
| სხვა-და-სხვა მოვალენი . . | — | — | 1,392 | 10 |
| ანგარიშზედ დაბრუნებული ხარჯი: | | | | |
| ა) მსესხებლებისა . . . | 7,041 | 58 | | |
| ბ) მამულებისა, რომლებიც ბანკს დარჩა . . . . | 111,744 | 96 | 118,786 | 54 |
| მოწყობა-გამართვისათვის . . | — | — | 1,610 | 64 |
| გამგეობა-მართვისათვის . . | 14,910 | 82 | | |
| ექსტრაორდინალური . . . | 21,597 | 23 | 36,508 | 05 |
| კომ. გარდახდისა კუპ. და გირავნ. ფურცლებითა . . . . . | — | — | 2,763 | 43 |
| 5% გარდასახადი სარგებლიდგან . | — | — | 1,230 | 22 |
| კუპონის ფურცლები ათის წლისა . | — | — | 3,210 | „ |
| გირავნ. ფურც., რომლებიც კომისს. იქმნენ მიღებულნი . (50,800) | — | — | 48,260 | „ |
| საგერბო გარდასახადი . . . | — | — | 335 | „ |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | — | — | 4.216 512 | 33 |

შენიშვნა: %% ქაღალდ. ბანკის კასაში და კორესპონდ. 163,200—
გირავნობის ფურცლ. შესანახად მიც. . 6,700—

## პ ა ს ი ვ ი.

| | | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| საერთოდ გამოღებული თანხა . | | 578,122 | 28 | | |
| სათადარიგო თანხა . . . | | 93,810 | 35 | 671,932 | 63 |
| გამოსაცემი გირავნობის ფურცლები. | $48^{8}/_{12}$ წ. | 21,700 | „ | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 32,100 | „ | 53,800 | „ |
| გირავ. ფურც., რომლებიც უკვე წარმოებაში არიან | $48^{8}/_{12}$ წ. | 529,100 | „ | | |
| | $43^{1}/_{2}$ წ. | 1.073,400 | „ | | |
| | $18^{7}/_{12}$ წ. | 543,700 | „ | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 720,100 | „ | 2.866,300 | „ |
| თავნის გასასტუმრებელი ფონდი | $48^{8}/_{12}$ წ. | 1,548 | 62 | | |
| | $43^{1}/_{2}$ წ. | 6,539 | 95 | | |
| | $18^{7}/_{12}$ წ. | 33,921 | 86 | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 13,391 | 16 | 54,401 | 59 |
| სარგებლის ფონდი | 6% სესხ. | 48,513 | „ | | |
| | 5% „ | 31,230 | „ | 79,743 | „ |
| მომავალში გასაცემად . . . | | — | — | 35 | 90 |
| გასაცემად გადადებული თანხა: | | | | | |
| ა) გირავნობის ფურც., რომლებიც ტირაჟში გამოვიდნენ . | | 271,600 | „ | | |
| ბ) გირავნობის ფურცელი კუპონებით . . . . | | 82,279 | „ | 353,879 | „ |
| ვადამდე მოსასპ. დანიშ. სესხნი: ნაღდი ფულით | $43^{1}/_{2}$ წ. | 382 | 90 | | |
| | $18^{7}/_{12}$ წ. | 8,236 | 09 | | |
| | $48^{8}/_{12}$ წ. | „ | › | | |
| | $19^{11}/_{12}$ წ. | 2,000 | 36 | 10,619 | 35 |
| გირავნ. ფურცლებით | $19^{11}/_{12}$ წ. | — | — | 500 | „ |
| მოკლე ვადიან სესხთა სარგებელი . | | 17,061 | 26 | | |
| ჯარიმა , . . . | | 8,771 | 08 | | |
| ერთხანად შემოტანილი ფული . | | 363 | 40 | | |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . | | 13,221 | 24 | | |
| წლიური შესატანი გამგეობის ხარჯის შესავსებლად და საზოგადო საჭიროებათათვის შესადგენ თანხისათვისა და სხვ. . . . . . | | 36,946 | 50 | 76,363 | 48 |
| გარდამავალნი ჯამნი . . . | | — | — | 7,124 | 57 |
| 5% გარდასახადი კუპონებზედ . | | — | — | 336 | 36 |
| სხვა-და-სხვა მსესხებელნი . . | | — | — | 2,272 | 18 |
| ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასაჯილდოვებლად . . . | | — | — | 86 | 26 |
| შესაცვლელი კუპონების ფურცლები . . . . . | | — | — | 3,210 | „ |
| 1894 წლის მოგება . . . | | — | — | 34,908 | 01 |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | | — | — | 4,216,512 | 33 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Сентября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხნაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.